პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 239 (19680) ხუთშაბათი, 16 ოქტომბერი 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

# ღირსეულად შევხვდეთ დიდი ოქტომბრის დღესასწაულს

**14 ოქტომბერს** გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომა, რომელზეც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა გააკეთა ინფორმაცია რეიკავიკში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან რ. რეიგანთან შეხვედრის შედეგების შესახებ.

პოლიტბიურომ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრა იყო საერთაშორისო ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი მოვლენა, გაბალებული შეიარაღების წინააღმდეგ, ბირთვული იარაღის აკრძალვისა და ლიკვიდაციისთვის, იმისათვის ბრძოლაში, რომ ომის საფრთხე ავაცილოთ თავიდან მთელ მსოფლიოს. საბჭოთა მხარის პოზიცია ამ შეხვედრაზე. პატიოსანი და გულახდილი იყო. იგი ეყრდნობოდა თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების პრინციპებს; ითვალისწინებდა ორივე ქვეყნის, მათი მოკავშირეების, ყველა სახელმწიფოს ხალხების ინტერესებს, კონკრეტულად გამოხატა ახალი მიდგომა, ახალი აზროვნება, რომლის საჭიროებასაც რაკეტულ-ბირთვული საუკუნის რეალობანი გვიკარნახებს. იჩენს რა გულწრფელ მისწრაფებას მორიგებათა მიღწევისადმი, საბჭოთა მხარემ წამოაყენა ახალი კომპრომისული წინადადებანი, რომლებიც მთლიანად ითვალისწინებდა ამერიკის მხარის შეშფოთებას და შესაძლებელი გახადა თანხმობა ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებში, როგორიცაა სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეჩერება, შემდეგ კი სრული ლიკვიდაცია და ევროპაში საშუალო საშორის რაკეტების მოსპობა. ამ წინადადებათა განხორციელება დასახავდა შესაძლებლობას მკვეთრი შემობრუნებისათვის საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებაში, ბირთვული საფრთხის თავიდან აცილებასა და მსოფლიო გაერთიანების ყველა წევრის მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარებაში.

სამწუხაროდ, პრაქტიკულად მიღწეული თანხმობა აღნიშნულ საკითხებზე მხარეთა დამაკალდებულებელ მორიგებებად ვერ იქცა. ამის ერთადერთი მიზეზი საბოლოო ანგარიშით ის იყო, რომ ამერიკის ადმინისტრაციას კიდევ არ სურს შექმნას პირობები, რათა ეს მორიგებანი განხორციელდეს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის რეჟიმის განმტკიცებისა და ორივე მხარისათვის ერთნაირ შესაბამის ვალდებულებათა მიღების გზით. ასეთი საქციელი გვაიძულებს უფრო მეტად შეეიტანოთ ეჭვი ვაშინგტონის განცხადებებში იმის შესახებ, თითქოს სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის პროგრამას მხოლოდ და მხოლოდ „მშვიდობიანი“ ხასიათი ჰქონდეს. მარტივი ლოგიკა გვიკარნახებს: თუ არ იქნება მაჯილი, საჭირო აღარ იქნება ფარიც. მაგრამ, როგორც ყველაფრიდან ჩანს, ამ პროგრამას სხვა დანიშნულებას ანიჭებენ.

მოიწონა რა პრეზიდენტ რ. რეიგანთან შეხვედრაზე ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის სკკ-ში ანობა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო აღნიშნავს, რომ შეიქმნა თვისებრივად ახალი სიტუაცია, ბირთვული განიარაღებისათვის ბრძოლა უფრო მაღალ მიჯნაზე გავიდა, რომლიდანაც ახლა საჭიროა ყველავე გავზარდოთ მეცადინეობა ბირთვული იარაღის რადიკალური შემცირებისა და სრული ლიკვიდაციის მიზნით. ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღინიშნა, რომ უნდა გაგრძელდეს კონტაქტები და მოლაპარაკება, ნარეობს საჭირბოროტო საკითხების, მტკივნეული პრობლემების გულახდილი განხილვა. მეთორმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვის, ჩვენი ქვეყნის იმ თანამიმდევრული მშვიდობისმოყვარული ინიციატივების პასუხად, რომლებიც მკაფიოდ აისახა რეიკავიკში გამართულ პრესკონფერენციაზე და საბჭოთა ტელევიზიით მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლებში, რესპუბლიკის მშრომელები ავლენენ მტკიცე გადაწყვეტილებას გამოძებნონ თითოეულ უბანზე, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში წარმოების ეფექტიანობის გადიდებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების რეზერვები.

ცხრა თვის შედეგების მიხედვით გეგმის გადამეტებით გამოშვებული და რეალიზებულია შესაბამისად 140,7 და 135,2 მილიონი მანეთის პროდუქცია, სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპმა შეადგინა 104,7 პროცენტი. სოფლის მეურნეობის, საზოგადოებრივ სეტორში გადაჭარბებით სრულდება სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების მიყიდვის გეგმები. წარმატებით მიმდინარეობს რთველი. ამ საყოველთაო-სახალხო საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანს მოსწავლე ახალგაზრდობას.

ბრიგადების, უბნების, რგოლების ბევრმა კოლექტივმა, წარმოების მოწინავეებმა გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი იკისრეს დიდი ოქტომბრის 69 წლისთავის აღსანიშნავად და წარმატებითაც ასრულებენ. მათ შორის არიან თბილისის „ელექტროაგრომატის“, „ელექტრომედუფუნების“, „ელექტროიზოლატის“ ქარხნების კომპლექსური ბრიგადები, მაღაროთსამმართველო „ქუთაისარტი“, ქალაქ პიათიგორსკის ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროთსამმართველოს გვირაბგამყვანთა ბრიგადა, ფოთის მეგობურთა კოლმეურნეობა „კოლხეთის“, კასპის რაიონის ქვემო ჭალის კოლმეურნეობის, გეგეჭკორის რაიონის ობანდის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივები და სხვ.

ლენინის ორდენოსანი „თბილისგვირაბმშენის“ სამმართველოს კოლექტივმა ვალდებულება იკისრა 7 ნოემბრისათვის გადასცეს საექსპლოატაციოდ კავკასიონის მთავარი ქედის როკის უღელტეხილზე ავტოსაგზაო გვირაბი, რაც შესაძლებელს გახდის უმოკლესს გზით დაუკავშირდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკები რუსეთის სფს რესპუბლიკას.

ამავე დროს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ბევრია საწარმო, მშენებლობა, კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, პირველადი პარტორგანიზაცია, რომლებიც ღირგებიან უყაირათობას, მომვებულობას, დაბალ შრომისა და ტექნოლოგიურ დისციპლინას, ნელა ნერგავენ წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებს, მოწინავე კოლექტივების გამოცდილებას, არადამაკმაყოფილებლად იყენებენ რეზერვებს, სუსტად ზრუნავენ მატერიალური, ენერგეტიკული და სათბობი რესურსების მომჭირნეობისათვის. ბევრ ორგანიზაციაში საკმარისი ყურადღება არ ეთმობა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გარდაქმნას, ადამიანის ფაქტორის გაკეთილშობილებას, საჯაროობის, სოციალისტური დემოკრატიის გაფართოების ამოცანებს.

გარდაქმნის სულისკვეთებამ, აღნიშნულია დადგენილებაში, ადამიანის გაუფრთხილებლობა ნაკლოვანებებისადმი, მოსწრაფება იცხოვრონ და იმუშაონ ახლებურად. საჭიროა, ამ პოზიტი-

(დასასრული მე-2 გვ.).

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

**14 ოქტომბერს** გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომა, რომელზეც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა გააკეთა ინფორმაცია რეიკავიკში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან რ. რეიგანთან შეხვედრის შედეგების შესახებ.

პოლიტბიურომ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრა იყო საერთაშორისო ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი მოვლენა, გაბალებული შეიარაღების წინააღმდეგ, ბირთვული იარაღის აკრძალვისა და ლიკვიდაციისთვის, იმისათვის ბრძოლაში, რომ ომის საფრთხე ავაცილოთ თავიდან მთელ მსოფლიოს. საბჭოთა მხარის პოზიცია ამ შეხვედრაზე. პატიოსანი და გულახდილი იყო. იგი ეყრდნობოდა თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების პრინციპებს; ითვალისწინებდა ორივე ქვეყნის, მათი მოკავშირეების, ყველა სახელმწიფოს ხალხების ინტერესებს, კონკრეტულად გამოხატა ახალი მიდგომა, ახალი აზროვნება, რომლის საჭიროებასაც რაკეტულ-ბირთვული საუკუნის რეალობანი გვიკარნახებს. იჩენს რა გულწრფელ მისწრაფებას მორიგებათა მიღწევისადმი, საბჭოთა მხარემ წამოაყენა ახალი კომპრომისული წინადადებანი, რომლებიც მთლიანად ითვალისწინებდა ამერიკის მხარის შეშფოთებას და შესაძლებელი გახადა თანხმობა ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებში, როგორიცაა სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეჩერება, შემდეგ კი სრული ლიკვიდაცია და ევროპაში საშუალო საშორის რაკეტების მოსპობა. ამ წინადადებათა განხორციელება დასახავდა შესაძლებლობას მკვეთრი შემობრუნებისათვის საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებაში, ბირთვული საფრთხის თავიდან აცილებასა და მსოფლიო გაერთიანების ყველა წევრის მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარებაში.

სამწუხაროდ, პრაქტიკულად მიღწეული თანხმობა აღნიშნულ საკითხებზე მხარეთა დამაკალდებულებელ მორიგებებად ვერ იქცა. ამის ერთადერთი მიზეზი საბოლოო ანგარიშით ის იყო, რომ ამერიკის ადმინისტრაციას ჯერ-ჯერობით არ სურს შექმნას პირობები, რათა ეს მორიგებანი განხორციელდეს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის რეჟიმის განმტკიცებისა და ორივე მხარისათვის ერთნაირ შესაბამის ვალდებულებათა მიღების გზით. ასეთი საქციელი გვაიძულებს უფრო მეტად შეეიტანოთ ეჭვი ვაშინგტონის განცხადებებში იმის შესახებ, თითქოს სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის პროგრამას მხოლოდ და მხოლოდ „მშვიდობიანი“ ხასიათი ჰქონდეს. მარტივი ლოგიკა გვიკარნახებს: თუ არ იქნება მაჯილი, საჭირო აღარ იქნება ფარიც. მაგრამ, როგორც ყველაფრიდან ჩანს, ამ პროგრამას სხვა დანიშნულებას ანიჭებენ.

მოიწონა რა პრეზიდენტ რ. რეიგანთან შეხვედრაზე ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის სკკ-ში ანობა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო აღნიშნავს, რომ შეიქმნა თვისებრივად ახალი სიტუაცია, ბირთვული განიარაღებისათვის ბრძოლა უფრო მაღალ მიჯნაზე გავიდა, რომლიდანაც ახლა საჭიროა ყველავე გავზარდოთ მეცადინეობა ბირთვული იარაღის რადიკალური შემცირებისა და სრული ლიკვიდაციის მიზნით. ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღინიშნა, რომ უნდა გაგრძელდეს კონტაქტები და მოლაპარაკება, ნარეობს საჭირბოროტო საკითხების, მტკივნეული პრობლემების გულახდილი განხილვა. მეთორმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვის, ჩვენი ქვეყნის იმ თანამიმდევრული მშვიდობისმოყვარული ინიციატივების პასუხად, რომლებიც მკაფიოდ აისახა რეიკავიკში გამართულ პრესკონფერენციაზე და საბჭოთა ტელევიზიით მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლებში, რესპუბლიკის მშრომელები ავლენენ მტკიცე გადაწყვეტილებას გამოძებნონ თითოეულ უბანზე, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში წარმოების ეფექტიანობის გადიდებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების რეზერვები.

ცხრა თვის შედეგების მიხედვით გეგმის გადამეტებით გამოშვებული და რეალიზებულია შესაბამისად 140,7 და 135,2 მილიონი მანეთის პროდუქცია, სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპმა შეადგინა 104,7 პროცენტი. სოფლის მეურნეობის, საზოგადოებრივ სექტორში გადაჭარბებით სრულდება სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების მიყიდვის გეგმები. წარმატებით მიმდინარეობს რთველი. ამ საყოველთაო-სახალხო საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანს მოსწავლე ახალგაზრდობას.

ბრიგადების, უბნების, რგოლების ბევრმა კოლექტივმა, წარმოების მოწინავეებმა გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი იკისრეს დიდი ოქტომბრის 69 წლისთავის აღსანიშნავად და წარმატებითაც ასრულებენ. მათ შორის არიან თბილისის „ელექტროაგრომატის“, „ელექტრომედუფუნების“, „ელექტროიზოლატის“ ქარხნების კომპლექსური ბრიგადები, მაღაროთსამმართველო „ქუთაისარტი“, ქალაქ პიათიგორსკის ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროთსამმართველოს გვირაბგამყვანთა ბრიგადა, ფოთის მეგობურთა კოლმეურნეობა „კოლხეთის“, კასპის რაიონის ქვემო ჭალის კოლმეურნეობის, გეგეჭკორის რაიონის ობანდის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივები და სხვ.

ლენინის ორდენოსანი „თბილისგვირაბმშენის“ სამმართველოს კოლექტივმა ვალდებულება იკისრა 7 ნოემბრისათვის გადასცეს საექსპლოატაციოდ კავკასიონის მთავარი ქედის როკის უღელტეხილზე ავტოსაგზაო გვირაბი, რაც შესაძლებელს გახდის უმოკლესს გზით დაუკავშირდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკები რუსეთის სფს რესპუბლიკას.

ამავე დროს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ბევრია საწარმო, მშენებლობა, კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, პირველადი პარტორგანიზაცია, რომლებიც ღირგებიან უყაირათობას, მომვებულობას, დაბალ შრომისა და ტექნოლოგიურ დისციპლინას, ნელა ნერგავენ წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებს, მოწინავე კოლექტივების გამოცდილებას, არადამაკმაყოფილებლად იყენებენ რეზერვებს, სუსტად ზრუნავენ მატერიალური, ენერგეტიკული და სათბობი რესურსების მომჭირნეობისათვის. ბევრ ორგანიზაციაში საკმარისი ყურადღება არ ეთმობა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გარდაქმნას, ადამიანის ფაქტორის გაკეთილშობილებას, საჯაროობის, სოციალისტური დემოკრატიის გაფართოების ამოცანებს.

გარდაქმნის სულისკვეთებამ, აღნიშნულია დადგენილებაში, ადამიანის გაუფრთხილებლობა ნაკლოვანებებისადმი, მოსწრაფება იცხოვრონ და იმუშაონ ახლებურად. საჭიროა, ამ პოზიტი-

(დასასრული მე-2 გვ.).

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა

## საბჭოთა ტელევიზიით

**ახლავე** მშვიდობისა, ძვირფასო ამხანაგებო!

მოგეხსენებათ, რომ გუშინწინ, ვეირას ისლანდიაში დამთავრდა ჩემი და შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. რეიგანის შეხვედრა. შეხვედრის შედეგების მიხედვით გაიმართა პრესკონფერენცია, რომელიც ტელევიზიით გადაიცა. გამოსვლის შემდეგ ამ ჟურნალისტების კითხვებზე ჩემი პასუხი გამოქვეყნდა.

საშობლოში დაბრუნების შემდეგ, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია გიამბოთ, თუ როგორ იყო საქმე და როგორ ვიფასებთ რეიკიავიკში მომხდარის ამბავს.

ეს-ეს არის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე განვიხილეთ ისლანდიის დედაქალაქში შეხვედრის შედეგები. ხვალ დაიბეჭდება ცნობა, თუ რა აზრი გამოიტანა ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობამ ამ დიდი პოლიტიკური მოვლენის შესახებ, რომლის შედეგები, როგორც დარწმუნებული ვართ, დიდხანს მოაზდენს გავლენას საერთაშორისო ურთიერთობაზე.

რეიკავიკის წინ ბევრი რამ ითქვა და დაიწერა მომავალი შეხვედრის შესახებ. როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე ამგვარ შემთხვევებში, მოსაზრებები და ვარაუდები ბევრი იყო. ეს ბუნებრივია. ამ შემთხვევაში სპეკულაციებიც იყო.

ახლა, როცა შეხვედრა დამთავრდა, მისი შედეგები მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია. ყველას აინტერესებს; რა მოხდა? რა მოგვცა მან? როგორ იქნება მსოფლიო მის შემდეგ?

ჩვენ ვესწრაფვოდით იმას, რომ რეიკავიკის შეხვედრაზე ქვაყუნხედად გვექცია მსოფლიო პოლიტიკის მთავარი საკითხები — გამალებული შეიარაღების შეწყვეტა, ბირთვული განიარაღება. კაცმა რომ თქვას, ასეც მოხდა.

როგორია ამ საქმეში ჩვენი სიმტკიცის მოტივები? ხშირად საზღვარგარეთიდან გიგონებთ, რომ ამის მიზეზია ჩვენი შინაგანი სიძნელეები. დასავლეთის ვარაუდებში არსებობს ის თეზისი, რომ საბჭოთა კავშირი საბოლოო ანგარიშით ეკონომიკურად ვერ გაუძლებს გამალებულ შეიარაღებას, დაძაბუნდება და სათხოვნელად ეახლება დასავლეთს. ცოტა კიდევ დავატანოთ ძალა მას, გავაძლიეროთ ძალის პოზიციებიო. სხვათა შორის, ეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის გამოსელაზეც გაისმა ჩვენი შეხვედრის შემდეგ.

ბევრჯერ მითქვამს, რომ ამგვარი გეგმები მარტო ქვიშაზე ნაგები კი არ არის, არამედ—საშიც გაზლავთ, რადგან შეიძლება მოჰყვეს საბედისწერო პოლიტიკური გადაწყვეტილებანი. ჩვენი პრობლემები სხვებზე უკეთესად ვიცით. ისინი გვაქვს, მათ გულახდილად გავიხსენებ, ეს ყველაფერი. ამ თვალსაზრისით ჩვენ საკუთარი გეგმები, საკუთარი მიდგომა და პარტიისა და ხალხის საერთო ნება გვაქვს. საერთოდ უნდა ვთქვა, რომ საბჭოთა კავშირი დღეს ძლიერია თავის შეკავშირებით, ხალხის პოლიტიკური აქტიურობით, დინამიზმით. ვფიქრობ, რომ ეს ტენდენციები, მაშასადამე, ჩვენი საზოგადოების ძალაც, სულ უფრო გაიზრდება. საბჭოთა კავშირს აქვს ყველაფერი, რითაც შეიძლება უპასუხოს ყოველგვარ გამოწვევას, თუ ეს საჭირო იქნება. ეს იცით საბჭოთა ადამიანებმა, ეს უნდა იცოდნენ მთელ მსოფლიოში. მაგრამ ჩვენ ძალადობანას თამაში არ გვინდა. ეს მეტად საშიში საქმეა რაკეტულ-ბირთვულ საუკუნეში.

ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული: საერთაშორისო ურთიერთობის გაჯიანურებული ციებცხელება მოულოდნელი და დამღუპველი კრიზისის საფრთხეს შეიცავს. საჭიროა პრაქტიკული ნაბიჯები, რათა დავშორდეთ ბირთვულ უფსკრულს, საჭიროა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი ძალისხმევა, მთელი მსოფლიოს გაერთიანების ძალისხმევა, რათა რადიკალურად გავაჯანსაღოთ საერთაშორისო ურთიერთობა.

ამ მიზნებისათვის შეხვედრის წინ, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ შეხვედრის თაობაზე პრეზიდენტ რეიგანის თანხმობას მივიღებდით, ჩვენ, საბჭოთა ხელმძღვანელობაში დიდი მოსამზადებელი მუშაობა გავწიეთ. მასში, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და სამდივნოს გარდა, მონაწილეობდნენ საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროები, სხვა უწყებები, მეცნიერების წარმომადგენლები, სამხედრო ექსპერტები, მრეწველობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები. პოზიციები, რომლებიც შევიმუშავეთ რეიკავიკის შეხვედრისათვის, ჩვენს მეგობრებთან, სოციალისტური ქვეყნების ხელმძღვანელობასთან ფართო და მრავალგზისი განხილვის შედეგი იყო. ჩვენ ვცდილობდით შეხვედრა აღსავსე ყოფილიყო პრინციპული შინაარსით, შორს გამიზნული წინადადებებით.

ახლა თვით შეხვედრის შესახებ — თუ როგორ ვითარდებოდა იქ მოვლენები. ეს მარტო იმიტომ კი არ უნდა გიამბოთ, რომ დავამტკიცო ჭეშმარიტება, რომელსაც უკვე ამახინჯებენ ჩვენი პარტნიორები რეიკავიკის მოლაპარაკებაში, არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ გაგიზიარეთ ის, თუ რის გაკეთებას ვაპირებთ.

პირველი საუბარი პრეზიდენტ რ. რეიგანთან შაბათს 10 საათსა და 30 წუთზე დაიწყო. ასეთ შემთხვევებში აუცილებელი მისალმებებისა და კორესპონდენტებთან ხანმოკლე ურთიერთობის შემდეგ ჩვენ მარტონი დავრჩით — მხოლოდ თარჯიმნები გვყავდა. ერთმანეთს გავუზიარეთ აზრები საერთო ვითარების, იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნების დიალოგი, მოვნიშნეთ არის მსოფლიო ვითარებაში კარდინალური გარდატეხის არსი, რომლის შესაძლებლობა ცხადი და რეალური იყო. საქმე ბირთვული შეიარაღების შეზღუდვას კი აღარ ეხებოდა, როგორც ეს სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის პირველი, სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე და სხვა ხელშეკრულებებში იყო, არამედ შედარებით მოკლე ვადებში ბირთვული იარაღის ლიკვიდაციას.

**პირველი წინადადება სტრატეგიულ შეტევით იარაღს ეხებოდა.** მე განვაცხადე, რომ მზად ვართ შევამციროთ იგი 50 პროცენტით პირველი ხუთი წლის განმავლობაში. ამასთან ერთიორად უნდა შემცირებულიყო სტრატეგიული იარაღი დედამიწაზე, წყალსა და ჰაერში. მორიგება რომ გადაეგვადვილებინა, ჩვენ დიდი დათმობა მოვახდინეთ, მოვახსენინთ ჩვენი წინანდელი მოთხოვნები, რომ სტრატეგიულ განტოლებაში შეეტანათ ამერიკის საშუალო რაკეტები, რომლებიც ჩვენს ტერიტორიას აღწევენ, და ამერიკის მოწინავე ბაზირების საშუალებები. მზად ვიყავით გაგვეთვალისწინებინა ამერიკის შეერთებული შტატების წუხლიც ჩვენი მძიმე რაკეტების გამო. წინადადებას სტრატეგიული იარაღის შესახებ განვიხილავდით მისი სრული ლიკვიდაციის კონტექსტით, როგორც ეს წამოვაყენეთ ამა წლის 15 იანვარს.

**მეორე ჩვენი წინადადება ეხებოდა საშუალო საშორის რაკეტებს.** პრეზიდენტს შევთავაზე ევროპაში მთლიანად მოგვესპო ამ კლასის საბჭოთა და ამერიკული რაკეტები. ამასთან „აქაც დიდ დათმობაზე მივდიოდით, როცა განვაცხადეთ, წინანდელი ჩვენი პოზიციისაგან განსხვავებით, რომ დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის რაკეტულ-ბირთვული იარაღი გათვალისწინებული არ უნდა ყოფილიყო. ჩვენ იმით ვხელმძღვანელობდით, რომ საჭიროა გავწმინდოთ ევროპაში დაძაბულობის შენელების გზა, გავათავისუფლოთ ევროპელი ხალხები ბირთვული კატასტროფის შიშისაგან, შემდეგ ვიაროთ წინ — მთელი ბირთვული იარაღი ლიკვიდაციისაკენ. დამეთანხმებით, რომ ესეც ჩვენ მხრივ გაბედული ნაბიჯია.

რაკი წინასწარ ვიცოდით, რა საწინააღმდეგო მოსაზრებანი შეიძლება გამოთქმულიყო, განვაცხადეთ, რომ თანახმა ვართ გავყინოთ 1.000 კილომეტრზე ნაკლები სიშორის რაკეტები და დაუყოვნებლივ შევუდგეთ მოლაპარაკებას მათი შემდგომი ბედის შესახებ. ხოლო რაც შეეხება საშუალო სიშორის რაკეტებს ჩვენი ქვეყნის აზიურ ნაწილში, — საკითხს, რომელიც მუდამ იდგა პრეზიდენტ რეიგანის „გლობალურ ვარიანტში“, — ამ საკითხთან დაკავშირებითაც შევთავაზეთ დაუყოვნებლივ დაგვიწყო მოლაპარაკება. ოფიციალურად ვიდოდეთ, ეს ჩვენი წინადადებანი მნიშვნელოვანი, სერიოზული ხასიათის იყო და იძლეოდა შესაძლებლობას „კარდინალურად გადაგვეჭრა ეს პრობლემაც.

**მესამე საკითხი,** რომელიც პრეზიდენტის წინაშე დავაყენე პირველსავე საუბარში და რომელიც ორგანულად შედიოდა ჩვენი წინადადებების პაკეტში, — ეს არის არსებული **ხელშეკრულება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვისა და ბირთვული გამოცდების აკრძალვის შესახებ.** ჩვენი მიდგომა ასეთია: რაკი გვექმნება სრულიად ახალი სიტუაცია, როცა დაიწყება ბირთვული იარაღის არსებითი შემცირება და მისი ლიკვიდაცია მოკლე თვალსაწიერ დროში, საჭიროა დავიცვათ თავი ყოველგვარი მოულოდნელობისაგან. საქმე ეხება პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებანი, ღონისძიებანი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის დაჩქარებული განვითარების ტენდენციის დასამკვიდრებლად.

ეს ბრძოლა ნაბიჯ-ნაბიჯ, ეტაპ-ეტაპ, ყველაფერი ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ბირთვს შეადგენს. ამიტომ უნდა გამოვრიცხოთ ყველაფერი, რასაც შეუძლია შეარყიოს თანასწორობა განიარაღების მსვლელობაში, გამოვრიცხოთ ისეთი ახალი ტიპის იარაღის შექმნის ყოველგვარი შესაძლებლობა, რომელიც უზრუნველყოფს საშხედრო უპირატესობას. ასეთი პოზიცია სრულიად კანონზომიერად და ლოგიკურად მიგვაჩნია.

და რახან ასეა, მტკიცედ განვაცხადეთ, რომ მკაცრად უნდა დავიცვათ **რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის** 1972 წლის უვადო ხელშეკრულება. უფრო მეტიც, ამ ხელშეკრულების რეჟიმის განსამტკიცებლად პრეზიდენტს შევთავაზეთ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და საბჭოთა კავშირმა იკისრონ ურთიერთვალდებულება — სულ ცოტა ათი წლის განმავლობაში არ გამოიყენონ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, ხოლო ამ ხნის განმავლობაში ბოლო მოუღოს სტრატეგიულ იარაღს.

გავითვალისწინეთ რა განსაკუთრებული სიძნელეები, რომლებიც თვით ადმინისტრაციამ შეუქმნა საკუთარ თავს ამ პრობლემის გამო, როცა პრეზიდენტი პირადად დაუკავშირდა კოსმოსური იარაღს, ვგრეთ წოდებულ სტრატეგიულ თავდაცვითს ინიციატივას, ჩვენ არ მოგვითხოვია ამ დარგში სამუშაოთა შეწყვეტა. მაგრამ — ამ გაგებით, რომ მთლიანად იქნება დაცული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულების ყველა დებულება, ესე იგი გამოკვლევები და გაფცდები ამ დარგში არ გასცდება ლაბორატორიების ფარგლებს. ეს ერთადერთი შეზღუდვაა ამერიკის შეერთებული შტატებისთვისაც, სსრ კავშირისთვისაც.

როცა პრეზიდენტი გვისმენდა, იძლეოდა შენიშვნებს, გვთხოვდა, ზოგი რამ უფრო დაწვრილებით განგვემარტა. საუბრის დროს გადაჭრით და გარკვევით დავაყენეთ კონტროლის საკითხი და იგი დავუკავშირეთ პოსტბირთვულ ვითარებას, ეს ვითარება კი განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას მოითხოვს. პრეზიდენტს ვუთხარი, თუ ორივე ქვეყანა დაადგება ბირთვული განიარაღების გზას, საბჭოთა კავშირი გაამკცრებს-მეთქი თავის პოზიციას კონტროლის დარგში. იგი რეალური, ყოველისმომცველი, დამაჯერებელი უნდა იყოს. მან უნდა შექმნას შეთანხმების დაცვის სიმიდეობის რწმენა, უნდა შეიცავდეს ადგილებზე ინსპექციის უფლებას.

უნდა მოგახსენოთ, ამხანაგებო, რომ პრეზიდენტის პირველი რეაქცია არ ყოფილა მთლიანად ნეგატიური. მან ასეც კი თქვა: „ეს, რაც თქვენ ახლა ჩამოგაყალიბეთ, გვაიმედებს“. მაგრამ ჩვენ არ გამოგვაპარვია, რომ თანამოსაუბრენი (ამ საკითხებზე საუბრისას კი უკვე ამხანაგი შევარდნაძეც და ბატონი ჯ. შულციც შემოგვიერთდნენ), რამდენადმე დაბნეული იყვნენ. თანაც მათს ურთიერთშეუსაბამო შეხედულებებში მაშინვე გაჩნდა ეჭვი და საწინააღმდეგო მოსაზრებანი. პრეზიდენტი და სახელმწიფო მდივანი მაშინვე ალაპარაკდნენ აზრთა სხვადასხვაობასა და უთანხმოებაზე. მათს ამ სიტყვებში აშკარად მოგვესმა ძველი ნაცნობი ხმები, რომლებიც მრავალი თვის მანძილზე გვსმენია ენენვის მოლაპარაკებაზე: ჩვენ მოგვაგონეს სტრატეგიული ბირთვული შეიარაღების ყოველგვარი ქვედონეები, „შუალედური ვარიანტი“ ევროპაში განლაგებული რაკეტების შესახებ, იმის შესახებ, რომ ჩვენ უნდა შევუერთდეთ თავდაცვით სტრატეგიულ ინიციატივას, ჩვენ —საბჭოთა კავშირი, **და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის** არსებული ხელშეკრულება შევცვალოთ რაღაც ახალი ხელშეკრულებით, ბევრი ამგვარი რამ მოვისმინეთ მათგან.

მე გამოვთქვი გაკვირვება. როგორ? ჩვენ გთავაზობთ მივიღოთ ევროპაში ამერიკული „ნულოვანი ვარიანტი“ და მივუსხდეთ მოლაპარაკების მაგიდას აზიაში საშუალო რაკეტების შესახებ, თქვენ კი, ბატონო პრეზიდენტო, უკან იხევთ თქვენივე წინანდელი პოზიციიდან. ეს გაგებარია.

რაც შეეხება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვას გთავაზობთ შეეთანხმნეთო და განვმტკიცოთ ეს ფუნდამენტური, მნიშვნელოვანი შეთანხმება, თქვენ კი გსურთ ეჭვი თქვათ მასზე და გვთავაზობთ კიდევ შევცვალოთ იგი რაღაც ახალი ხელშეკრულებით, ამით — სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების უარყოფის შემდეგ დავამსხვრიოთ ეს მექანიზმიც, რომელიც იცავს სტრატეგიულ სტაბილურობას. ესეც გაუგებარია.

გავერკვიეთ სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის გეგმებშიც, ვთქვი მე. თუ ამერიკის შეერთებული შტატები შექმნის კოსმოსში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სამფენოვან სისტემას, ჩვენ ვუპასუხებთ ამას. მაგრამ ჩვენ სხვა რამ გვაწუხებს: სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა ნიმნიეს ია ღიოის გადატანას ახალ კარემოში, რაც შეარყევს სტრატეგიულ სიტუაციას, კიდევ უფრო გაიაოვრებს მას, ვიდრე დღეს არის. თუ ასეთია ამერიკის შეერთებული შტატების მიზანი, მაშინ ასე უნდა თქვათ. მაგრამ თუ მართლაც გინდათ

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის

# მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

ხანგრძლივი კამათის შემდეგ შევძელით მიგვეღწია ამ საკითხში ურთიერთგაგებისათვის.

შემდეგ დისკუსია გაიმართა საშუალო სიშორის რაკეტების პრობლემაზე. ამერიკელები დაჟინებით იცავდნენ ეგრეთ წოდებულ შუალედურ ვარიანტს, რომელიც ითვალისწინებდა ევროპაში მათი რაკეტების ნაწილის, მათ შორის „პერშინგ-2“ ტიპის რაკეტების შენარჩუნებას და, ბუნებრივია, ჩვენი შესაბამისი სს-20 რაკეტების შენარჩუნებას. ჩვენ კატეგორიული უარი ვთქვით ამაზე. მე უკვე განვმარტე რატომ. ევროპა იმსახურებს, რომ განთავისუფლდეს ბირთვული იარაღისაგან, აღარ იყოს ბირთვული მძვავლი. თავის მხრივ, პრეზიდენტს გაუჭირდა ებრძოლა მისივე საკუთარი „ნოლიანი ვარიანტის“ წინააღმდეგ, რომელსაც იგი ასე დიდხანს უწევდა რეკლამას. და მიუხედავად ამისა, ვიგრძენით, რომ ამერიკელებს განზრახული ჰქონდათ მორიგება ჩაეფუშათ ამ საბაბით, თითქოს განსაკუთრებით ზრუნავენ აზიაში თავიანთი მოკავშირეებისათვის. ამერიკის მხარემ ბევრი უსაფუძვლო მოსაზრება გამოთქვა. უბრალოდ უხერხულია ყოველივე ამის გამეორება. საქმე აეწყო მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგით მათი სურვილის გასათვალისწინებლად — დავთანხმდით ფორმულაზე: ნული რაკეტები ევროპაში და 100-100 საბრძოლო მუხტი საშუალო რაკეტებზე ჩვენთან აღმოსავლეთში და შესაბამისად ამერიკელებთან ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე. მთავარია, რომ შეძლებთ მორიგებულიყავით ბირთვული რაკეტებისაგან ევროპის კონტინენტის განთავისუფლების შესახებ.

ამრიგად, მივაღწიეთ შეთანხმებას საშუალო სიშორის რაკეტების საკითხზეც. მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა წინ ბირთვული განიარაღების ამ მიმართულებითაც. ამერიკის ადმინისტრაციამ ვერ აარიდა თავი ჩვენს მტკიცე მოსაზრებებს, მიგვიღწია პოზიტიური შედეგებისათვის.

მაგრამ რჩებოდა კიდევ ერთი საკითხი რაკეტასწინააღმდეგო თავდაცვისა და ბირთვულ აფეთქებათა აკრძალვის შესახებ.

სანამ ერთმანეთს შეეხვდებოდით ფირონ ღოქს, კვირას, ჩვენი მესამე საუბრისათვის, რომელიც პროგრამის მიხედვით დასკვნითი უნდა ყოფილიყო, მთელ ღამეს მუშაობდა ჩვენი და ამერიკის მხრის ექსპერტთა ორი ჯგუფი. მათ გულდასმით გააანალიზეს ის, რაც ითქვა პრეზიდენტთან ორ წინა შეხვედრაზე, და თავიანთი ღამის ფათის შედეგები მოგვახსენეს. შესაბამისად მე და პრეზიდენტს.

**შედეგი ასეთი იყო: სტრატეგიული შეტევითი შეიარაღებისა და საშუალო რაკეტების საკითხში გაჩნდა შესაძლებლობა შევდგომოდით შეთანხმებათა შემუშავებას.**

ამ სიტუაციაში რაკეტასწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულება საკვანძო მნიშვნელობას იძენდა. მისი როლი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდებოდა. განა შეიძლება დავამსხვრიოთ ის, ვთქვი მე, რაც აქამდე გვაძლევდა საშუალებას როგორღაც შეგვიკავებინა გამალებული შეიარაღება? თუ ახლა შეავამცირებთ სტრატეგიულ და საშუალო ბირთვულ იარაღს, ორივე მხარე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ამ პერიოდში არაერთ არ შექმნის ახალ საშუალებებს, რომლებიც ძირს გამოუთხრიან სტაბილურობასა და პარიტეტს. ამიტომ, მე სრულიად ღიად, ეურად მესახება განსაზღვროს ვადა — ამერიკელებმა შვიდი წელი შემოგვთავაზეს, ჩვენ — ათი წელი, ის ათი წელი, რომლის განმავლობაშიც უნდა მოისპოს ბირთვული იარაღი. ჩვენ შევთანხმდეთ ათი წელი, რომლის განმავლობაშიც არც საბჭოთა, არც ამერიკის მხარეს არ იქნება უფლება — მათ კი აქვთ ასეთი უფლება,— გამოვიდნენ რაკეტასწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულებიდან. კვლავაა და გამოცდები კი მხოლოდ ლაბორატორიებში წარმოებდეს.

ამრიგად, ვფიქრობ, მიხვდით, რატომ შევთავაზეთ სწორედ 10 წელი? ეს შემთხვევითი არ არის. აქ ლოგიკა სრულიად მარტივი და პატიოსანია. პირველი 5 წლის განმავლობაში მცირდება სტრატეგიული შეიარაღების პირველი 50 პროცენტი, მეორე 5 წლის განმავლობაში — მეორე ნახევარი. აი — ათი წელი.

ამასთან დაკავშირებითვე, წინადადება წამოვაყენე, დავავალოთ ჩვენს პასუხისმგებელ წარმომადგენლებს, დაიწყონ ფართო მასშტაბის მოლაპარაკება ბირთვულ აფეთქებათა შეწყვეტის შესახებ, რათა საბოლოო ანგარიშით შეეძიოთ შეთანხმება მათი სრული, საბოლოო აკრძალვის შესახებ. ასეთი შეთანხმების მომზადების დროს — ჩვენ აქაც ვიჩქეფდით მოქნილობას და ვეკამეა კონსტრუქციული პოზიცია — შესაძლებელი იქნებოდა გზადაგზა გადაგვწყვეტა კერძო საკითხებიც, ბირთვულ აფეთქებათა შესახებ.

პასუხად ჩვენ კვლავ მოვისმინეთ პრეზიდენტ რეიგანის მოსაზრებანი, რომლებსაც კარგად ვიცნობთ ჯერ კიდევ ქენევიდან და მისი საკარო გამოსვლებიდან: მოსაზრებანი იმის შესახებ, რომ სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა თავდაცვითი სისტემაა; რომ, თუ ჩვენ მოვსპობთ ბირთვულ იარაღს, როგორღა შევძლებთ დავიცვათ თავი რომელმე უგნურისაგან, რომელსაც შეიძლება ხელში ჩაუვარდეს იგი; იმის შესახებ, რომ მზად არის - გაგვიზიაროს სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის დარგში წარმოებულ სამუშაოთა შედეგები. ამ ბოლო შენიშვნის გამო ვუთხარი: ბატონო პრეზიდენტო, სერიოზულად ვერ აღვიქვამ ამ თქვენს იდეას, — იდეას იმის შესახებ, რომ გაგვიზიარებთ სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის დარგში გაწეულ სამუშაოთა შედეგებს. თქვენ ახლა არ გსურთ გვიწილადოთ თუნდაც ნავთობის მოწყობილობა ან რძის ქარხნების მოწყობილობა და ამავე დროს იმედოვნებთ, რომ ვერწმუნებით თქვენს დაპირებას სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის დარგში შესრულებულ ნამუშევართა გაზიარების შესახებ. ეს თავისებური „მეორე ამერიკული რევოლუცია“ იქნებოდა, რევოლუციები კი ასე ხშირად არ ხდება. მე ეუთხარი პრეზიდენტ რეიგანს: მოდით ვიყოთ რეალისტები და პრაგმატიკოსები, ასე უფრო სამედოა. საქმე მეტისმეტად სერიოზულ საკითხებს ეხება.

სხვათა შორის, გუშინ, შეეცადა რა გაემართლებინა თავისი პოზიცია სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის საკითხში, პრეზიდენტმა განაცხადა, ეს პროგრამა იმისათვის მშირდება, რომ ამერიკა და მისი მოკავშირეები დაცული იყვნენ საბჭოთა რაკეტული დარტყმისაგან. როგორც ხედავთ, უგუნურნი აღარ უხსენებიათ. ღღის სინათლეზე კვლავ გამოათრიეს „საბჭოთა საფრთხე“.

მაგრამ ეს ნამდვილი ფანდია. ჩვენ ხომ შევთავაზეთ მოვსპოთ არა მარტო სტრატეგიული, არამედ მთელი ბირთვული შეიარაღება, რომელიც აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებს და სსრ კავშირს, ამასთან მკაცრი კონტროლი დავუწესოთ ამას.

მაშ საიდანღა იშვა საბჭოთა ბირთვული რაკეტებისაგან ამერიკისა და მისი მეგობრების „თავისუფლების“ დაცვის საჭიროების საკითხი, — ეს რაკეტები ხომ აღარ იქნება?

თუ არ არის ბირთვული იარაღი, რიღასთვისაა საჭირო მისგან თავდაცვა? მაშასადამე, „ვარსკვლავეთის ომებთან“ დაკავშირებული მთელი ეს წამოწყება წმინდა წყლის მილიტარისტული ხასიათისაა და მიზნად ისახავს საბჭოთა კავშირთან შედარებით სამხედრო უპირატესობის მიღწევას.

მაგრამ დავუბრუნდეთ მოლაპარაკებას. თუმცა მორიგებას სტრატეგიული შეიარაღებისა და საშუალო სიშორის რაკეტების შესახებ მივაღწიეთ, ნაადრევი იყო იმაზე ფიქრი, რომ ორი პირველი საუბრის შედეგად ყოველივე ეს საბოლოოდ გადაწყდებოდა. წინ იყო კიდევ მთელი დღე, განუწყვეტელი და დამაბული დისკუსიების თითქმის რვა საათი, რომლის დროს ისევ და ისევ ვუბრუნდებოდით ამ, თითქოსდა, უკვე შეთანხმებულ საკითხებს.

ამ დისკუსიების დროს პრეზიდენტმა ხაცადა იდეოლოგიურ პრობლემატიკასაც გადასწვდომოდა და მეტი რომ არა ვთქვა, აღმოჩნდა, რომ არაფერი გაეგება იმისა, თუ რა არის სოციალისტური სამყარო და რა ხდება იქ. მე ვუთხარი, რომ იდეოლოგიური განსხვავებანი არ უნდა დავუკავშიროთ გამალებული შეიარაღების შეწყვეტის საკითხებს. ყოველნაირად ვცდილობდი, პრეზიდენტი და სახელმწიფო მდივანი დაბრუნებოდნენ იმას, რისთვისაც რეიკავიკში შევიკრიბეთ. იძულებული ვიყავი კვლავ და კვლავ შემეხსენებინა, თანამოსაუბრეებისათვის ჩვენი წინადადებების პაკეტის მესამე პუნქტი, ურომლისოდაც შეუძლებელი იყო საუბრო თანხმობის მიღწევა. მხედველობაში მაქვს რაკეტასწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულების ზუსტად დაცვის, ამ უმნიშვნელოვანესი ხელშეკრულების რეჟიმის განმტკიცებისა და ბირთვული გამოცდების აკრძალვის საჭიროება.

იძულებული ვიყავი კიდევ და კიდევ მიმეპყრო მათი ყურადღება იმისადმი, რაც ერთი შეხედვით, საკმაებით ნათელია: რაკი შევთანხმდით ბირთვული შეიარაღების ბევრად შემცირების თაობაზე, ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი ვითარება, როცა არათუ მოქმედებით, არამედ ფიქრადაც არ უნდა გავიკოთ სტრატეგიული სტაბილურობის შერყევის, მორიგებათა გვერდის აცილის ცდები. ამიტომ უნდა გეწმადეს, რომ დარჩება რაკეტასწინააღმდეგო თავდაცვის უკადო ხელშეკრულება. თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, ეუთხარი მე, უნდა დაეთანხმოთ იმას, რომ, რაკი ბირთვული იარაღის შემცირებას ვაპირებთ, უნდა გვქონდეს სრული რწმენა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არაფერს არ იღონებს სსრ კავშირის ზურგს უკან, ხოლო საბჭოთა კავშირი ასევე არაფერს არ გააკეთებს ამერიკის შეერთებული შტატების ზურგს უკან. ისეთს, რაც საფრთხეს შეუქმნის თქვენს უშიშროებას, რაც გააუფასურებს შეთანხმებას, შექმნის სიძნელეებს.

სწორედ აქედან გამომდინარეობს მთავარი ამოცანა — განვამტკიცოთ რაკეტასწინააღმდეგო თავდაცვის რეჟიმი. ამ პროგრამის მიხედვით შესრულებული ნამუშევრებით არ გავიდეთ ლაბორატორიებიდან, დავრჩეთ ლაბორატორიათა ფარგლებში. რაკეტასწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულებიდან გამოსვლის უფლების გამოუყენებლობის ათი წელი საჭიროა იმ რწმენის შესაქმნელად, რომ, როცა შეიარაღების შემცირების პრობლემას ვწყვეტთ, უზრუნველყოფთ თითოეული მხარის უშიშროებას. კიცმა რომ თქვა, მთელი მსოფლიოს უშიშროებასაც.

მაგრამ ამერიკელები აშკარად სულ სხვა რამისათვის იყვნენ განწყობილი. ვხედავდით, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ფაქტობრივად სურს შეასუსტოს რაკეტასწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულება, გადასინჯოს იგი იმ თვალსაზრისით, რომ შეიმუშაოს რაკეტასწინააღმდეგო თავდაცვის მასშტაბური კოსმოსური სისტემა საკუთარი ეგოისტური მიზნებით. ამას რომ დავთანხმებულიყავი, ეს, ჩემი მხრივ, პირდაპირ უპასუხისმგებლობა იქნებოდა.

რაც შეეხება ბირთვულ გამოცდებს, აქაც ცხადზე ცხადი იყო, თუ რატომ არ უნდა ამერიკის მხარეს სერიოზულად აწარმოოს მოლაპარაკება ამ თემაზე. იგი ამჯობინებს მოლაპარაკება გაგრძელოს უსასრულო, ბირთვული გამოცდების აკრძალვის პრობლემის გადაწყვეტა ათწლეულებით გადადოს. უკვე მერამდენჯერ იძულებული ვიყავით უარგვეყო ცდები მოლაპარაკება გამოეყენებინათ ბირთვულ აფეთქებათა დარგში მოქმედების თავისუფლების დასაფარავად. მე პირდაპირ განვაცხადე, ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციის პატიოსნებაში ეჭვი მეპარება — მასში ხომ არ არის ისეთი რამ, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს საბჭოთა ქვეყანას-მეთქი? როგორ შეიძლება მორიგება ბირთვული შეიარაღების ლიკვიდაციის შესახებ, თუ შეერთებული შტატები განაგრძობს მის სრულყოფას? და მაინც შთაბეჭდილება შეგვექმნა, რომ მთავარი დაბრკოლებაა სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა. თუ მას აღვაკვეთავთ, შეიძლება მოვრიგდეთ ბირთვულ აფეთქებათა აკრძალვის შესახებაც.

მოლაპარაკების გარკვეულ ეტაპზე, როცა სრულიად ცხადი გახდა, რომ დისკუსიის განგრძობა დროის ფლანგვაა, მე შევახსენე: ჩვენ შემოგთავაზეთ ღონისძიებათა გარკვეული პაკეტი და გთხოვთ იგი განიხილოთ როგორც ასეთი. თუ ჩვენ ხა თქვენ შეეთანხმებოთ საერთო პოზიცია ბირთვული იარაღის დიდი შემცირების შესაძლებლობის შესახებ და ვერ მივაღწიეთ თანხმობას რაკეტასწინააღმდეგო თავდაცვისა და ბირთვული ფაქტორების შესახებ, მაშინ ყველაფერი, რის შექმნასაც აქ ვაპირებდით, ინგრევა-მეთქი.

პრეზიდენტისა და სახელმწიფო მდივნის რეაგირება ამ ჩვენს სიმტკიცეზე მტკივნეული იყო. მაგრამ მე არ შემეძლო სხვაგვარად საკითხის დაყენება. საქმე ეხებოდა ქვეყნის უშიშროებას, მთელი მსოფლიოს, ყველა ხალხისა და კონტინენტის უშიშროებას.

ჩვენ შევთავაზეთ დიდი, ნამდვილად მასშტაბური, აშკარად კომპრომისული ღონისძიებანი. ჩვენ ბევრი რამ დავთმეთ. მაგრამ ამერიკის მხრივ არ შეგვინიშნავს უმცირესი სურვილიც კი ეპასუხათ ამითვე, ანგარიში გაეწიათ ჩვენთვის. წარმოიქმნა ჩიხი. და ჩვენ დავიწყეთ ფიქრი, რით დაგვემთავრებინა შეხვედრა. მაგრამ მაინც ყოველ ღონეს ვხმარობდით, ჩვენი პარტნიორები კონსტრუქციულ საუბარზე დაგვეთანხმებინა.

საუბარი, რომელიც საბოლოო უნდა ყოფილიყო, ცაიტნოტში აღმოჩნდა. ამ სიტუაციაში იმის ნაცვლად, რომ ჩვენ მოსკოვში დავბრუნებულიყავით, ისინი კი ვაშინგტონში გამგზავრებულიყვნენ, გამოცხადდა კიდევ ერთი შესვენება. დაე მხარეებმა ყველაფერი მოიფიქრონ და სადილის შემდეგ კიდევ ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს. შესვენების შემდეგ ქალაქის მერის სახლში რომ დავბრუნდით, ჩვენ კიდევ ერთხელ ვცადეთ შეხვედრა წარმატებით დაგვემთავრებინა. შევთავაზეთ შემდეგი ტექსტი როგორც პოზიციური შედეგის შეჯამების საფუძველი.

ეი ეს ტექსტიც:

„სსრ კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იკისრეს ვალდებულება 10 წლის განმავლობაში არ გამოიყენონ რაკეტასწინააღმდეგო თავდაცვის უვადო ხელშეკრულებიდან გამოსვლის უფლება და ამ პერიოდის განმავლობაში მკაცრად დაიცვან მისი ყველა დებულება. იკრძალება კოსმოსში რაკეტასწინააღმდეგო თავდაცვის ყველა კოსმოსური ელემენტის გამოცდა, იმ გამოკვლევებისა და გამოცდების გარდა, რომლებიც წარმოებს ლაბორატორიებში.

ამ ათწლეულის პირველი ხუთი წლის განმავლობაში (1991 წლის ჩათვლით) 50 პროცენტით შემცირდება მხარეთა სტრატეგიული შეტევითი შეიარაღება.

ამ პერიოდის მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში შემცირდება მხარეების სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების დარჩენილი 50 პროცენტი.

ამრიგად, 1996 წლის დამლევისათვის სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული შეტევითი შეიარაღება მთლიანად იქნება ლიკვიდირებული“.

ამ ტექსტის განმარტებისას, მე მნიშვნელოვანი დამატება გამოვთქვი, დავიმოწმე რა დოკუმენტი, რომელიც გადაეცა პრეზიდენტს ჩვენი პირველი საუბრის ბოლოს. მისი ესენი ის არის, რომ ათი წლის შემდეგ, როცა უკვე აღარ იქნება ბირთვული იარაღი, ჩვენ ვთავაზობთ სპეციალურ მოლაპარაკებაზე შევთანხმოთ ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებანი იმის შესახებ, თუ როგორ მოვიქცეთ შემდგომში.

მაგრამ ამჯერადაც ჩვენმა ცდამ, მიგვეღწია თანხმობისათვის, შედეგები არ მოგვიტანა. ოთხი საათის განმავლობაში ჩვენ კვლავ ვარწმუნებდით თანამოსაუბრეებს ჩვენი მიდგომის საფუძვლიანობაში, რომელიც მათ არაფრით არ ემუქრებოდა, არ ლახავდა ამერიკის შეერთებული შტატების ნაშდვილი უშიშროების ინტერესებს. მაგრამ რაც დრო გადიოდა, მით უფრო ცხადი ხდებოდა, რომ ამერიკელები არ დათანხმდებიან, შეზღუდონ სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის პროგრამის მიხედვით კვლევა. სამუშაოები და გამოცდები ლაბორატორიების ფარგლებით. ისინი იარაღით კოსმოსში გაჩრას ლამობენ.

მე მტკიცედ განვაცხადე: ძალადრის არ დგომანმდგომი, რომ დაგეხმაროთ საკუთარი ხელით ჩავფუშოთ რაკეტასწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულება-მეთქი. ეს ჩვენთვის პრინციპის საკითხი, ჩვენი ეროვნული უშიშროების საკითხია.

ამრიგად, როცა ერთი ან ორისამი ნაბიჯიღა იყო დარჩენილი იმ გადაწყვეტილებათა მიღებამდე, რომლებიც ისტორიული შეიძლებოდა გამხდარიყო მთელი ბირთვულ-კოსმოსური ეპოქისათვის, ჩვენ ეს ნაბიჯი ან ნაბიჯები ვერ გადავდგით. მსოფლიო ისტორიაში შემობრუნება არ მოხდა. თუმცა იგი — ამას ერთხელ კიდევ დარწმუნებით ვამბობ — შესაძლებელი იყო.

მაგრამ სინდისი წმინდა გვაქვს, ვერაფერს გვისაყვედურებენ. ჩვენ ყველაფერი ვიღონეთ, რაც შეგვეძლო.

ჩვენმა პარტნიორებმა ვერ გამოიჩინეს ფართოთა მიდგომა. უნიკალური მომენტის გაგება და, სამოლოო ანგარიშით, არ ეყოთ ვაჟკაცობა, პასუხისმგებლობა, პოლიტიკური სიმტკიცე, ესოდენ საჭირო რომ არის ედიდესი საერთაშორო მსოფლიო პრობლემების გადაწყვეტისას. ისინი დარჩნენ ძველ პოზიციებზე, რომლებსაც დრომ უკვე ძირი შეუტყია და რომლებიც არ შეესაბამება თანამედროვე რეალობებს.

მეკითხებოდნენ უცხოელები იქ, ისლანდიაში, მეკითხებიან ამხანაგები აქ: რა მოგვაჩნია რეიკიავიკის შეხვედრაზე ამერიკის დელეგაციის ასეთი საქციელის მიზეზად? მიზეზი ბევრია — სუბიექტურიც და ობიექტურიც, — მაგრამ თავარი ის არის, რომ ამ დიდი ქვეყნის ხელმძღვანელობა მეტისმეტად არის დამოკიდებული სამხედრო-სამრეწველო კომპლექსზე, მონოპოლისტურ ჯგუფებზე, რომლებმაც გაძალებული ბირთველი და სხვა შეიარაღება ბიზნესად, მოგების საშოვალად, თავიანთი არსებობის მიზნად და საქმიანობის აზრად აქციეს.

მე ვფიქრობ, რომ ვითარების თავისეულ შეფასებაში ამერიკელებს ორი სერიოზული შეცდომა მოსდით.

ერთია ტაქტიკური. მათ ჰგონიათ, რომ საბჭოთა კავშირი ადრე თუ გვიან შეურიგდება ამერიკის სტრატეგიული დიქტატის აღორძინების ცდებს, დათანხმდება მხოლოდ საბჭოთა შეიარაღების შეზღუდვას, მხოლოდ საბჭოთა შეიარაღების შემცირებას, ამას იმიტომ იზამს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებზე მეტად არის დაინტერესებული მიაღწიოს მორიგებებს განიარაღების პრობლემაზეო.; მაგრამ ამაში დიდად ცდებიან. და რაც უფრო სწრაფად განთავისუფლდება ამერიკის მხარე ამისაგან, — ამას უკვე რატომ მეამყარ ამ ვამბობ — მით უკეთესი მათთვისაც, ჩვენი ურთიერთობისთვისაც და მსოფლიოში მთელი ვითარებისთვისაც.

მეორე შეცდომა სტრატეგიულია. შეერთებულ შტატებს სურს ეკონომიკურად სული ამოსდოს საბჭოთა კავშირს გამალებული უახლესი და ყველაზე ძვირად ღირებული კოსმოსური შეიარაღების მეობებით. სურს სხვადასხვა სიძნელე შეუქმნას საბჭოთა ხელმძღვანელობას, ჩაფუშოს მისი გეგმები, მათ შორის სოციალურ სფეროშიც, ჩვენი ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების სფეროში, და ამით გამოიწვიოს ხალხის უკმაყოფილება თავისი ხელმძღვანელობის, ქვეყნის ხელმძღვანელობის მიმართ. და სწორედ ამით შეზღუდოს საბჭოთა კავშირის შესაძლებლობები ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდეს განვითარებულ ქვეყნებთან, და ისინიც ასეთ სიტუაციაში იძულებულ იქნებიან სათხოვნელად ეახლონ ამერიკის შეერთებულ შტატებს. შორს გამიზნული ზრახვებია. ახლანდელი ადმინისტრაციის სტრატეგიული გეზიც შეცდომებზეა აგებული. ვამბობ, ეტყობა, არ სურთ თავი შეიწუხონ იმით, რომ ყურადღებით გააანალიზონ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებები, არ უნდათ შესაბამისი პრაქტიკული დასკვნები გამოიტანონ თავისთვის, თავიანთი კურსისათვის და ცდილობენ საფრთხელი სინამდვილედ გასაღონ, და ამ შეცდომის საფუძველზე ააგონ პოლიტიკა სსრ კავშირის მიმართ, ასეთი პოლიტიკის ყველა ნაკლოვანების - ამჟამინდელ ხანგრძლივი შედეგის განკვეთა. რა თქმა უნდა, ძნელი არ არის. ერთი რამ ჩვენთვის უკვე ახლაც ცხადია: იგი არავის არ მოუტანს, ვერ მოუტანს პოზიტიურ შედეგებს, მათ შორის თვით შეერთებულ შტატებსაც.

სანამ თქვენ წინაშე გამოვიდოდი, წავიკითხე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის განცხადება რეიკიავიკის შესახებ. ყურადღებას იპყრობს ის, რომ პრეზიდენტი ჩემულობს ყველა განხილულ წინადადებას. რა გაეწყობა, ალბათ, ეს წინადადებანი იმდენად მიმზიდველია ამერიკელებისა და მსოფლიოს ხალხებისათვის, რომ შეიძლება ასეთ ეშმაკობასაც მიმართოს კაცმა. ჩვენ პატივმოყვარენი არა ვართ. მაგრამ მაინც საჭიროა, რომ ადამიანებმა მიიღონ რეიკიავიკში საქმის მიმდინარეობის მართალი სურათი.

შემდეგ კი? მე უკვე პრესკონფერენციაზე ვთქვი, რომ შეხვედრამდეც და აქ, რეიკიავიკში გაწეული მუშაობაც, ამაოდ არ ჩაივლის. ჩვენ თვითონ ბევრი ვიფიქრეთ ამ შეხვედრასთან დაკავშირებით და ბევრი რამ გადავსინჯეთ. ახლა უკვე გავწმინდეთ მშვიდობისა და განიარაღებისათვის შემდგომი ბრძოლის გაშლის გზა. თავიდან მოვიშორეთ წარმოშობილი ხერგილები, წვრილმანები, სტერეოტიპები, რომლებიც ბოჭვადა ჩვენი პოლიტიკის ამ მნიშვნელოვან სფეროში ახალ მიდგომას.

ჩვენ ვიცით, სად ვიმყოფებით, უფრო მკაფიოდ ვხედავთ ჩვენს შესაძლებლობებს. რეიკიავიკისათვის მზადებამ ხელი შეგვიწყო ჩამოგვეყალიბებინა პლატფორმა — ახალი, გაბედული პლატფორმა, რომელიც ზრდის საბოლოო წარმატების შანსებს. იგი შეესაბამება ჩვენი ხალხისა და საზოგადოების ინტერესებს მისი სოციალისტური განვითარების ახალ ეტაპზე. და ამავე დროს ეს პლატფორმა შეესაბამება ყველა სხვა ქვეყნისა და ხალხების ინტერესებს და ამით ნდობას იმსახურებს. დარწმუნებული ვართ, რომ მას გაგებით მოეკიდებიან მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში და სულ სხვადასხვა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წრეებში.

ვფიქრობ, რომ ძალიან ბევრს მთელ მსოფლიოში, მათ შორის ძალაუფლებით მოსილ მოღვაწეებს შეუძლიათ და მოვალენი არიან ხელი შეუძლიათ ამ მოვალეობა ჩვენ ერთ-ერთ ამოცანად ეგულისხმოთ. ეს ეხება ეროვნულ-სახელმწიფოებრივ, ეროვნულ-ეთნიკურ, ეროვნულ-ტერიტორიულ, ეროვნულ-ეკლესიურ ურთიერთობებს. ეს ეხება ადამიანთა ურთიერთობებს. ეს ეხება ადამიანთა ურთიერთობებს. ეს ეხება ადამიანთა

ᲕᲘᲜᲐᲠᲘᲗᲘ

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ • ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ

## ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲘ ᲕᲔᲠᲐᲡ ᲓᲐᲐᲙᲚᲔᲑᲗ

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ.** „ᲔᲚᲛᲐᲕᲐᲚᲛᲨᲔᲜᲑᲚᲝᲡ“ საწარმოო გაერთიანების მეთაური ქარხანაში მიმდინარე წლის აპრილში შეიქმნა კომისია, რომელმაც შეიმუშავა ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების გეგმა ზამთრის პირობებში შეუფერხებელი მუშაობისათვის. კომისია საამქროს უფროსებთან ერთად სისტემატურად აკონტროლებდა ღონისძიებების შესრულებას.

საღამოობით აქ დამთავრებულია მაგისტრალური თბომესერის შეკეთების სამუშაოები. განახლდა ცხელი წყლით მომარაგებისა და ქანგბადის მაგისტრალური ქსელები თავიანთი არმატურით. ძირითადი საქმიანობა დანადგარების მოწესრიგების შემდეგ ვადამდე დაიწყეს მეხუთე საქმიანობა აგრეგატის კაპიტალური შეკეთება. მინადუღებისაგან გაწმენდეს ბოილერები და ორთქლის ქვაბები, დამთავრდა წყლის ქიმიურად დამუშავებელი ფილტრების, მაზუთის ფილტრებისა და ტუმბოების შეკეთება. დაზუსტებული და მოწესრიგებულია ელექტროენერგიის მიწოდების რეჟიმი. პირველი კატეგორიის საამქროს შეუფერხებელი მუშაობისათვის მომარაგებული აქვთ სარეზერვო მაღალი ძაბვის კაბელები და ელექტრომოწყობილობა.

წლეულს ენერგოსისტემაში სიახლეა — კატეგორიულად აიკრძალა საწარმოს ელექტროენერგიის, გაზისა და წყლის ლიმიტების კორექტირება.

საწარმოში დამუშავდა და „საქმთავარენერგოს“ შეუთანხმდა ელექტროენერგიის მიწოდების „შეზღუდვის გრაფიკები“ პიკის საათებში.

დიდი სამუშაოები მიმდინარეობს აგრეთვე სათბობი აგრეგატების გახურების ფართობის გაზღდიდებლად, რაც საწარმოს მეტ სითბურ ეფექტს მისცემს და ელექტროენერგიაც დაიზოგება.

აღსანიშნავია, რომ „ელმავალმშენებლის“ საწარმოო გაერთიანებას წლეულს ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხანა და ბათუმის ყოფილი საწარმოო გაერთიანება „კავკასტრანსფორმატორიც“ შეუერთდნენ. მანამდე იგი მხოლოდ თბილისის ელექტროძრავების და ახალციხის ელექტროძრავების ქარხნებს აერთიანებდა.

„ელმავალმშენებლის“ ძირითადი პროდუქციაა მუდმივი დენის მაგისტრალური ელმავლები. მათზე მთელი პროდუქციის 82 პროცენტი მოდის, მაგრამ „ასორტიმენტი“ ფართოა: სამრეწველო ელმავლები, ელექტროშტახელერები, სხვადასხვა სამძლავრის ელექტროძრავები და ტრანსფორმატორები, ელექტროკარები და ფართო მოხმარების საგნები.

ცხრა თვის მაჩვენებლით გაერთიანებამ სასაქონლო პროდუქციის გეგმა 103 პროცენტით შეასრულა და გეგმის გადამეტებით 2 მილიონ 377 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა. დავალების გადამეტებით რეალიზებულია 2 მილიონ 88 ათასი მანეთის პროდუქცია. გეგმით გათვალისწინებული 70,2 პროცენტის ნაცვლად სახელმწიფო ხარისხის ნიშნით აღნიშნულმა პროდუქციის ხვედრითმა წილმა წარმოების ათთვიან მოცულობაში 72,8 პროცენტი შეადგინა. ეს საკავშირო მასშტაბითაც კარგი მაჩვენებელია. წარმატება მიღწეულია ელექტროენერგიისა და სხვა მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენებით.

გაერთიანების ადმინისტრაცია დიდ ყურადღებას უთმობს ნედლეულისა და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მომჭირნედ ხარჯვას. მეურნეობის გაძღოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა ხომ სწორედ ყაირათიანობა და რეზერვების ძიებაა. წლეულს, რვა თვის მანძილზე გაერთიანებამ 232,8 ათასი მანეთის მასალა დაზოგა. აქედან მეტი წილი — 616 ტონა შავ და ფერად ლითონებზე მოდის. ეს კი საკმარისია ოთხი რვაღერძიანი, ან ორი თორმეტღერძიანი ელმავლის გამოსაშვებად.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ელექტროენერგიის დაზოგვას. ცხრა თვეში ლიმიტირებული 24 მილიონ 61 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგიის ნაცვლად დანახარჯმა 23 მილიონ 387 ათასი კილოვატსაათი შეადგინა. მიმდინარეობს არსებული რეზერვების ძიება, გამოიყენებელი სიმძლავრეების ათვისება და სხვ. „ელმავალმშენებლიში“ წლეულს დაინერგა მ. თვალჭრელიძის მომჭირნეობასთან დაკავშირებული რაციონალიზატორული წინადადება, რაც საწარმოს 23.587 მანეთს უზოგავს. რა სიახლეა ეს? მესამე კორპუსი, სადაც ხუთი საამქროა განლაგებული, ელექტროენერგიის რვა სატრანსფორმატორო ქვესადგურიდან იღებდა. ელექტრომომარაგების სქემის სათანადოდ შეცვლამ და რეზერვის ავტომატური ჩამრთველების გამოყენებამ საშუალება მისცა საწარმოს სრულად აეთვისებინა ექვსი ტრანსფორმატორის სიმძლავრე. სამგალეოდ გამოთავისუფლდა ორი ტრანსფორმატორი და შემცირდა უქმი სვლის დანაკარგები. გარდა ამისა, დასვენების დღეებში კორპუსის განათებისათვის უკვე ექვსის ნაცვლად ერთი ტრანსფორმატორი მუშაობს. წინადადების დანერგვით საწარმო წელიწადში 221,4 ათას კილოვატსაათ ენერგიას ზოგავს.

მომავალი წლიდან მეთაური ქარხანაში დაინერგება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რაციონალიზატორული წინადადება, რის შედეგადაც, თვითონ წინადადების ავტორის მ. თვალჭრელიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, საწარმო „არფრინავად მიიღებს ცხელ წყალს“. საკომპრესორო დანადგარებში ჰაერის ტემპერატურა 100 გრადუსს აღემატება.

რეზერვების ძიება, რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვა, მასალებისა და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ყაირათიანად ხარჯვა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ეფექტს იძლევა და ეს კარგად ესმის „ელმავალმშენებლის“ კოლექტივს. ამიტომ ამგვარი ღონისძიებების განხორციელებას დიდი ყურადღება ექცევა.

**ნ. ᲚᲣᲠᲡᲛᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**

# ᲒᲝᲜᲔᲑᲐᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲝᲡ

### ᲒᲐᲛᲝᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐᲜᲘ ᲠᲔᲘᲙᲘᲐᲕᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

**ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲘᲪᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲫᲚᲘᲝᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲮᲘᲤᲐᲗᲝᲛ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐ, ᲐᲮᲚᲘ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ, ᲐᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲠᲗᲕᲣᲚᲘ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔ. ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲗᲐᲮᲚᲘ ᲣᲡᲕᲐᲛᲡ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ

◆ არქეოლოგთა მიერ მუხრანის ველზე, მცხეთის რაიონში გამოვლენილი ანტიკური ხანის ნაქალაქარ ძალისის უნიკალური ნაგებობა ჩვენი წინაპრების ძველთაძველ გრიგენვალე კულტურაზე მეტყველებს;

◆ გვიანანტიკური ხანის ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე მცირე თერმის არსებობის დადასტურება საქართველოს არქეოლოგიაში უპრეცედენტო შემთხვევა და უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია...

◆ ძალისი არც მარტო წარსულს, არც მარტო აწყმოს ეკუთვნის, იგი მოგავლის კუთვნილებაა.

# მარადიული სიცოცხლის ღირსი

**არქეოლოგიური** გათხრები ანტიკური ხანის ნაქალაქარ ძალისის ტერიტორიაზე 15 წლის წინათ დაიწყო. გამოვლენილმა ძეგლებმა სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოების ყურადღება მიიქცია.

ნაქალაქარი ძალისი მუხრანის ველზე, აწინდელი სოფელ ძალისის მიდამოებში, მდინარე ნარეკვავის ორივე ნაპირზე ყოფილა გაშლილი. სადღეისო მონაცემებით, ქალაქს 100 ჰექტარი ფართობი მაინც ეკავა და იმ დროისთვის უდიდეს ქალაქთა რიცხვს განეკუთვნება. ქალაქს ნარეკვავის მარჯვენა ნაპირზე, შემაღლებულ ბორცვზე ჰქონია აკროპოლისი — დედაციხე, რომელიც ალიზის აგურით ნაშენი გალავნით არის გარშემოვლებული. ქალაქის უბნები გაშლილი ყოფილა მდინარის ორივე ნაპირზე. დედაციხე-აკროპოლისის ტერიტორიაზე, სადაც ამჟამად თანამედროვე პატარა სასაფლაოა და ერთი მოსახლეც ცხოვრობს, მხოლოდ სადაზვერვო თხრილებია გავლებული. დადასტურდა ცხოვრების ინტენსიური კვალი და მძლავრი საფორტიფიკაციო ნაგებობის არსებობა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების ფართოდ გაშლა შესაძლებელი იქნება მას შემდეგ, როცა აქ გაუქმდება ახლანდელი სასაფლაო. საღდეისოდ კი ძალისში გათხრილი და გამოვლენილია ძველთაძველი ქალაქის არისტოკრატიული უბნის ნაწილი, მიკვლეულია ნაქალაქარის სინქრონული სამი ვრცელი სამაროვანი. სამწუხაროდ, ექსპედიციის წევრთა სიმცირის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უქონლობის, მუშახელის ნაკლებობისა და სხვა ხელშემშლელი პირობების გამო, სამაროვნების შესწავლა არ დაწყებულა.

ნაქალაქარ ძალისის ტერიტორიაზე სულ ორ ჰექტარამდე ფართობზე გამოვლენილი და შესწავლილია პირობით ტაძარ-სასახლედ მიჩნეული მოზაიკის იატაკიანი ნაგებობა, აბანოს კომპლექსი, ყაზარმული ტიპის დიდი შენობისა და ეგრეთ წოდებული „ადმინისტრაციული“ ნაგებობის ნანგრევები; მიკვლეულია საქართველოს არქეოლოგიაში სწორუპოვარი და დღემდე უცნობი ძეგლები — სასახლე და საცურაო აუზი, წყალგაყვანილობათა რთული სისტემები და საკანალიზაციო ქსელი. აღმოჩნდა დიდძალი არქიტექტურული დეტალი, სარკმლის, სხვადასხვა სიდიდისა და დანიშნულების მინისა და თიხის ჭურჭლის ნამსხვრევები, მინის ზოდები, საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა მრავალი ნივთი, უამრავი ბრტყელი და ღარსებური კრამიტი.

ტაძარ-სასახლის კომპლექსად მიჩნეული ნაგებობის ნანგრევები სამი ნაწილისაგან შედგება. ესენია რომაული გეგმარების აბანო, საკუთრივ სატაძრო-სარიტუალო მოზაიკის იატაკიანი დარბაზები და სასახლის ნაშთები. აბანო მცირე ზომისაა, აქვს სამი განყოფილება — ცხელი, თბილი და ცივი. მცირე ზომის ტრაპიანი აბაზანა ცივი განყოფილების ჩრდილოეთ აბსიდში მოთავსებული. ცივ და თბილ განყოფილებებს იატაკი ფერადი მოზაიკისა ჰქონია, იგი შემკულია ზღვის ფაუნისათვის დამახასიათებელი ცხოველების გამოსახულებებით, კარგად ჩანს დელფინის თავი, გრძელი ნიკარა, ბადე, თევზები. ცხენივ გამოსახულია მეცხოველეობის მფარველი ღვთაება ჰანი, რომელაც ხელში სალამურების დასტა უჭირავს. არიადნეს მარჯვნივ გამოსახული ყოფილა არფაზე დამკვრელი, ხოლო მის მარჯვნივ ტალავერის ქვეშ სამფეხა, ლომის თათებზე დაყრდნობილი ოვალური მაგიდაა, რომელზეც ღვინის სასმისები, ხოლო მაგიდის გვერდით საღვინე დოქი დგას. დიონისესა და არიადნეს ქვემოთ ღვინის დასადუღებელი ჭურჭელი კრატერია, ხოლო მათ თავზე, ტალავერის ზევით, ორი მუზაა: ერთს ხელში ქნარი, ხოლო მეორეს გრძელი საკრავები უჭირავთ. მათ ქვემოთ ორსტრიქონიანი ბერძნული სამშენებლო წარწერაა, რომელიც პროფესორმა თ. ყაუხჩიშვილმა გაშიფრა: „გაიხსენე პრისკე, რომელმაც ეს გააკეთა“. ტოლმკლავება ჯვრის კუთხეებში ზევით გამოსახულია ფრთოსანი ჭაბუკი, რომელსაც შიშველ ტანზე წამოსასხმელი აქვს მოხურული, ხელებით ხილით სავსე კალათა უჭირავს, მის მოპირდაპირე მხარეს გრძელტანსაცმლიან ქალს ხელთ აქვს სინა, რომელზეც გირჩი დევს. ჯვრის ქვედა კუთხეებში ერთმანეთის მოპირდაპირედ ორი ფრთოსანი ღვთაებაა, რომლებსაც ხელში თავთავებისგან შეკრული თაიგულები უჭირავთ. დარბაზის შესასვლელში ვაზის ძირია, რომლის რქების დასაყრელში გამოსახულია ადამიანის თავი. მოზაიკის იატაკი მდიდრულად არის შემკული მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტებით. მიუხედავად იმისა, რომ მოზაიკა საკმაოდ არის დაზიანებული, თავისი გრანდიოზულობით მნახველზე მაინც წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. გამოვლენილი მასალების მიხედვით იგი ჩვენი წელთაღრიცხვის II საუკუნის პირველი ნახევრის ძეგლად უნდა მივიჩნიოთ.

ამავე ნაწილში შედის სამი დიდი დარბაზი, რომლებსაც იატაკი გაჯით ჰქონია მოტკეპნილ-მოლესილი. კედლების მახლობლად გამართული აღმოჩნდა დაბალი, იატაკის ფიდნად თხუთმეტიოდე სანტიმეტრით შემაღლებული სასახლეზე, ეგზედრა, ეგზის ტალავრის ქვეშ ტახტზე მსხდარი მემცენარეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის მფარველი ღვთაების დიონისეს და მისი მეუღლის არიადნეს გამოსახულებებია. დიონისეს მარცხნ